რეჟიმს წარმოადგენდა პეგილირებული ინტერფერონის (პეგილირებული ინტერფერონი ალფა-2ა 180 მკგ/კვირაში ან პეგილირებული ინტერფერონი ალფა-2ბ 1.5 მკგ/კგ/კვირაში), სოფოსბუვირის (400 მგ/დღეში) და რიბავირინის (1000/1200 მგ/დღეში) კომბინაცია 12 კვირის განმავლობაში, ხოლო ინტერფერონისგან თავისუფალი რეჟიმები იყო: სოფოსბუვირის (400 მგ/დღეში) და რიბავირინის (1000/1200 მგ/დღეში) კომბინაცია 12, 20 ან 24 კვირის განმავლობაში; ჰარვონი (სოფოსბუვირი 400 მგ და ლედიპასვირი 90 მგ/დღეში - ფიქსირებული კომბინაცია) რიბავირინთან (1000/1200მგ/დღეში) ან რიბავირინის გარეშე 12 ან 24 კვირის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში, პეგილირებული ინტერფერონის და რიბავირინის დოზის კორექცია ხდებოდა მკურნალი ექიმის მიერ ნაციონალური და საერთაშორისო გაიდლაინების თანახმად [2, 77].

აღსანიშნავია, რომ C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში HCV მეორე და მესამე გენოტიპით ინფიცირებულ პაციენტებში ოფიციალურად იქნა რეკომენდებული და გამოიყენებოდა ჰარვონის (სოფოსბუვირი 400 მგ/ლედიპასვირი 90 მგ/დღეში) და რიბავირინის (1000/1200 მგ/დღეში) კომბინაცია.

#### 4.5. სტატისტიკური ანალიზი

პირველადი გამოსავალი ფასდებოდა ანტივირუსული თერაპიის დასრულებიდან 24 კვირაზე, როგორც: (1) LSM-ის მედიანას შემცირება საწყის შედეგთან შედარებით და (2) LSM-ის სულ მცირე 20%-ით შემცირება საწყის შედეგთან შედარებით. ღვიძლის სიხისტის სულ მცირე 20%-ით შემცირება ჩაითვალა კლინიკური მნიშვნელობის ცვლილებად, ვინაიდან ის აჭარბებს საერთაშორისო კვლევებში დაფიქსირებული ინტრა და ინტერობსერვაციული ვარიაციების დიაპაზონს [91-94].

უწყვეტი ცვლადების გამოსასახად ვიყენებდით მედიანას და IQR-ს, ხოლო კატეგორიული ცვლადებისთვის - აბსოლუტურ რიცხვებსა და პროცენტულ მაჩვენებლებს. უწყვეტი ცვლადების შესადარებლად გამოვიყენეთ უილკოქსონის ნიშნიანი რანგების ტესტი (Mann-Whitney Wilcoxon signed-rank test), ხოლო კატეგორიული ცვლადებისთვის - პირსონის (Pearson)  $\chi^2$  ან ფიშერის (Fisher) ზუსტი ტესტი. LSM-ის  $\geq 20\%$ -ით შემცირებასთან ასოცირებული ფაქტორების გამოსავლენად ჩატარდა

მულტივარიაციული რეგრესიული ანალიზი; საბოლოო მოდელის შესაქმნელად გამოყენებული იქნა ცვლადების მიზნობრივი შერჩევის სტრატეგია [95]. ცვლადების შესარჩევად კი აღებული იქნა P სიდიდე - 0.10. ცვლადები, რომელთა P სიდიდე აღემატებოდა 0.10-ს, ფასდებოდა, როგორც დამაბნეველი ცვლადები. ცვლადები - ასაკი და საწყისი LSM – გამოყენებული იქნა საბოლოო მოდელში. შედეგები წარმოდგენილია შანსების თანაფარდობით (OR), 95%-იანი სარწმუნოების ინტერვალით (CI). P სიდიდე < 0.05 მივიჩნიეთ სტატისტიკურად სარწმუნოდ.

სტატისტიკური ანალიზი განხორციელდა პროგრამა SAS მეშვეობით (SAS Institute Inc., Cary, NC, USA).

## 5. კვლევის შედეგები

### ძირითადი საწყისი მახასიათებლები

კვლევაში ჩართული პაციენტების (n=304) საშუალო ასაკი იყო 49 წელი (43-55), მათგან 268 (88.2%) იყო მამრობითი სქესის. კვლევაში ჩართული პაციენტების ძირითადი საწყისი მახასიათებლები მოცემულია ცხრილი N2-ში.

ცხრილი 2. კვლევაში ჩართული პაციენტების ძირითადი საწყისი მახასიათებლები (n=304)

| მახასიათებელი                                       | n=304                 |
|---|-----------------------|
| <i>უწყვეტი ცვლადები</i>                             | <i>მედიანა, (IQR)</i> |
| ასაკი, წელი   | 49 (43 – 55)          |
| BMI   | 27.1 (25.3 – 29.3)    |
| Log <sub>10</sub> HCV რნმ (სე/მლ)                   | 5.72 (4.9 – 6.25)     |
| ჰემოგლობინი (გ/დლ) (ნორმა: 12 – 18)                 | 15.5 (14.4 – 16.3)    |
| თრომბოციტი (X10 <sup>9</sup> /ლ) (ნორმა: 150 – 450) | 160.5 (125 – 196.8)   |
| ალტ (ერთ/ლ) (ნორმა <42)                             | 86.1 (58.3 – 147)     |
| ასტ (ერთ/ლ) (ნორმა < 37)                            | 64 (43.1 – 98.2)      |
| გამაგლუტამილტრანსპეპტიდაზა (ერთ/ლ) (ნორმა: 5 – 66)  | 78 (47.2 – 132.4)     |
| ტუტე ფოსფატაზა (ერთ/ლ) (ნორმა: 35-129)              | 90.3 (72.4 – 110.5)   |
| საერთო ბილირუბინი (მკმოლ/ლ) (ნორმა <18.8)           | 11.8 (8.3 – 16.5)     |
| ალბუმინი (გ/დლ) (ნორმა: 40 – 60)                    | 43.9 (40.4 – 46.4)    |
| კრეატინინი (მკმოლ/ლ) (ნორმა <120)                   | 51.8 (41.9 – 62.9)    |
| INR (ნორმა: 0.9 – 1.35)                             | 1.1 (1 – 1.2)         |
| FIB4  | 2.1 (1.5– 3.2)        |
| LSM (კპა)   | 16.9 (11.8 – 27.7)    |

HCV ანტივირუსული თერაპიის დაწყებამდე LSM მერყეობდა 9.6 კპა-დან 72.0 კპა-მდე, ხოლო მედიანა შეადგენდა 16.9 კპა-ს (11.8 – 27.7). საწყისი LSM-ის მიხედვით კვლევაში ჩართული პაციენტების 32.2%-ს (n=98) ჰქონდა ღვიძლის ფიბროზის F3 სტადია მეტავირის კლასიფიკაციით, 11.2%-ს (n=34) - F3-F4, ხოლო 56.6%-ს (n=172) - F4 სტადია (ციროზი).

პაციენტების 46.7% (n=142) ინფიცირებული იყო HCV პირველი გენოტიპით, 16.5% (n=50) - HCV მეორე გენოტიპით, ხოლო - 36.8% (n=112) - HCV მესამე გენოტიპით.

კვლევაში ჩართული 304 პაციენტიდან 153-ს (50.3%) HCV ანტივირუსული თერაპია ჩაუტარდა პეგილირებული ინტერფერონის, რიბავირინის და სოფოსბუვირის 12 კვირიანი რეჟიმით, 84-ს (27.6%) - სოფოსბუვირის და რიბავირინის კომბინაციით 12, 20 ან 24 კვირის განმავლობაში, ხოლო 67-ს (22.1%) - სოფოსბუვირის და ლედიპასვირის ფიქსირებული კომბინაციით 12 ან 24 კვირის განმავლობაში რიბავირინით ან მის გარეშე. სოფოსბუვირის და რიბავირინის კომბინაციას 7 (2.3%) პაციენტი იღებდა 12 კვირის განმავლობაში, 18 (5.9%) პაციენტი - 20 კვირის განმავლობაში, ხოლო 59 (19.4%) პაციენტი - 24 კვირის განმავლობაში. სოფოსბუვირის და ლედიპასვირის 12 კვირიან კომბინაციას რიბავირინის გარეშე იღებდა - 41 (13.5%) პაციენტი, ხოლო რიბავირინთან ერთად - 14 (4.6%) პაციენტი. სოფოსბუვირის და ლედიპასვირის 24 კვირიან კომბინაციას რიბავირინის გარეშე იღებდა - 8 (2.6%) პაციენტი, ხოლო რიბავირინთან ერთად - 4 (1.3%) პაციენტი.

### HCV ანტივირუსული თერაპიის გამოსავლები

კვლევაში ჩართული 304 პაციენტიდან SVR მიღწეული იქნა 257 (84.5%) მათგანში. SVR მიღებული იქნა ინტერფერონის შემცველი რეჟიმით ნამკურნალებ 137 (89.5%), სოფოსბუვირის და რიბავირინის კომბინაციით ნამკურნალებ 54 (64.3%) და სოფოსბუვირის და ლედიპასვირის კომბინაციით (რიბავირინით ან რიბავირინის გარეშე) ნამკურნალებ 66 (98.5%) პაციენტში. SVR ყველაზე ხშირი იყო HCV მესამე გენოტიპით ინფიცირებულებში (SVR - 94.6%) და დაახლოებით ერთნაირი სიხშირით დაფიქსირდა

HCV პირველი (SVR - 78.9%) და მეორე (SVR - 78.0%) გენოტიპით ინფიცირებულებში. ვირუსოლოგიური განკურნება მიღწეული იქნა მდედრობითი სქესის პაციენტების 83.3%-ში (30/36), ხოლო მამრობითი სქესის პაციენტების - 84.7%-ში (237/268) ( $p=0.832$ ). იმ პაციენტებში, რომელთა საწყისი LSM ნაკლები იყო 14.5 კპა-ზე, SVR დაფიქსირდა 122 (92.4%) შემთხვევაში, ხოლო იმ პირთაგან, რომელთა საწყისი LSM აღემატებოდა 14.5 კპა-ს (ცეროზი), SVR მიღწეული იქნა 135 (78.5%) მათგანში ( $p = 0.001$ ).

გარდა HCV მესამე გენოტიპის, სოფოსბუვირის და ლედიპასვირის შემცველი რეჟიმით მკურნალობის და 14.5 კპა-ზე ნაკლები საწყისი LSM-სა, SVR-ის მიღწევასთან ასოცირებული ფაქტორები იყო ასევე პაციენტის ახალგაზრდა ასაკი, მკურნალობის დაწყებამდე ტუტე ფოსფატაზას და ბილირუბინის დაბალი, ხოლო ალბუმინის მაღალი მაჩვენებელი (ცხრილი 3).

ცხრილი 3. კვლევაში ჩართული პაციენტების ძირითადი საწყისი მახასიათებლები SVR-ის სტატუსის მიხედვით.

| მახასიათებელი                    | კვლევაში ჩართული ყველა პაციენტი (n=304) | პაციენტები SVR-ით (n=257) | პაციენტები SVR-ის გარეშე (n=47) | P    |
|----------------------------------|---|---------------------------|---------------------------------|------|
| ასაკი, წელი (მედიანა, IQR)       | 49 (43 – 55)                            | 48 (43 – 54)              | 52 (46 – 59)                    | 0.03 |
| კატეგორიული ცვლადები, n (%)      |   |                           |                                 |      |
| <b>სქესი</b>                     |   |                           |                                 |      |
| მამრობითი                        | 268 (88.2)                              | 227 (84.7)                | 41 (15.4)                       | 0.83 |
| მდედრობითი                       | 36 (11.8)                               | 30 (83.3)                 | 6 (16.7)                        |      |
| <b>ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება</b> |   |                           |                                 |      |
| არა                              | 281 (92.4)                              | 237 (84.3)                | 44 (15.7)                       | 0.99 |
| კი                               | 23 (7.6)                                | 20 (87.0)                 | 3 (13.0)                        |      |
| <b>BMI</b>                       |   |                           |                                 |      |



|                                |            |            |           |       |
|--------------------------------|------------|------------|-----------|-------|
| <28                            | 178 (58.6) | 153 (86.0) | 25 (14.0) | 0.42  |
| ≥28                            | 126 (41.4) | 104 (82.5) | 22 (17.5) |       |
| <b>შაქრიანი დიაბეტი</b>        |            |            |           |       |
| არა                            | 264 (86.8) | 227 (86.0) | 37 (14.0) | 0.07  |
| კი                             | 40 (13.2)  | 30 (75.0)  | 10 (25.0) |       |
| <b>თრომბოციტების რაოდენობა</b> |            |            |           |       |
| ≥150X10 <sup>9</sup> /ლ        | 179 (58.9) | 157 (87.7) | 22 (12.3) | 0.07  |
| < 150X10 <sup>9</sup> /ლ       | 125 (41.1) | 100 (80.0) | 25 (20.0) |       |
| <b>ალტ</b>                     |            |            |           |       |
| < 100 ერთ/ლ                    | 178 (58.6) | 153 (86.0) | 25 (14.0) | 0.42  |
| ≥ 100 ერთ/ლ                    | 126 (41.4) | 104 (82.5) | 22 (17.5) |       |
| <b>ტუტე ფოსფატაზა</b>          |            |            |           |       |
| < 150 ერთ/ლ                    | 280 (92.1) | 241 (86.1) | 39 (13.9) | 0.01  |
| ≥ 150 ერთ/ლ                    | 24 (7.9)   | 16 (66.7)  | 8 (33.3)  |       |
| <b>საერთო ბილირუბინი</b>       |            |            |           |       |
| ≤ 18.8 მკმოლ/ლ                 | 246 (80.9) | 215 (87.4) | 31 (12.6) | 0.005 |
| > 18.8 მკმოლ                   | 58 (19.1)  | 42 (72.4)  | 16 (27.6) |       |
| <b>ალბუმინი</b>                |            |            |           |       |
| ≥ 35 გ/ლ                       | 286 (94.1) | 245 (85.7) | 41 (14.3) | 0.03  |
| < 35 გ/ლ                       | 18 (5.9)   | 12 (66.7)  | 6 (33.3)  |       |
| <b>INR</b>                     |            |            |           |       |
| ≤1.5                           | 289 (95.1) | 244 (84.4) | 45 (15.6) | 0.99  |
| >1.5                           | 15 (4.9)   | 13 (86.7)  | 2 (13.3)  |       |
| <b>HCV გენოტიპი</b>            |            |            |           |       |

|                            |            |            |           |        |
|----------------------------|------------|------------|-----------|--------|
| 1                          | 142 (46.7) | 112 (78.9) | 30 (21.1) | 0.001  |
| 2                          | 50 (16.5)  | 39 (78.0)  | 11 (22.0) |        |
| 3                          | 112 (36.8) | 106 (94.6) | 6 (5.4)   |        |
| <b>საწყისი LSM</b>         |            |            |           |        |
| ≤14.5 კპა                  | 132 (43.4) | 122 (92.4) | 10 (7.6)  | 0.009  |
| >14.5 კპა                  | 172 (56.6) | 135 (78.5) | 37 (21.5) |        |
| <b>ანტივირუსული რეჟიმი</b> |            |            |           |        |
| SOF/PEG/RBV                | 153 (50.3) | 137 (89.5) | 16 (10.5) | <0.001 |
| SOF/RBV                    | 84 (27.6)  | 54 (64.3)  | 30 (35.7) |        |
| SOF/LDV±RBV                | 67 (22.1)  | 66 (98.5)  | 1 (1.5)   |        |


### LSM-ის შემცირება

ღვიძლის სიხისტის ცვლილება ფასდებოდა დროის შემდეგ მონაკვეთებს შორის: (1) ანტივირუსული მკურნალობის დაწყებამდე და მკურნალობის დასრულებისას, (2) მკურნალობის დასრულებისას და დასრულებიდან 12 კვირის შემდეგ, (3) მკურნალობის დასრულებიდან 12 და 24 კვირაზე. LSM-ის მედიანა თერაპიის დაწყებამდე, თერაპიის დასრულებისას და დასრულებიდან 12 და 24 კვირაზე იყო, შესაბამისად, 16.9 (11.8 – 27.7) კპა, 13.9 (9.6 – 21.3) კპა, 12.1 (8.5 – 21.3) კპა და 11.9 (8.2 – 20.9) კპა (დიაგრამა 5).

სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება იქნა მიღებული საწყის (16.9 კპა) და საბოლოო (11.9 კპა) LSM-ის მედიანას შორის იყო ( $p<0.0001$ ). საბოლოო LSM-ის მედიანა სტატისტიკურად სარწმუნოდ მცირდებოდა საწყისი LSM-ის მედიანასთან შედარებით დამოუკიდებლად პაციენტის სქესისა, BMI-ისა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებისა, შაქრიანი დიაბეტის არსებობისა, საწყისი ალტ-ის, ტუტე ფოსფატაზის და თრომბოციტისა, ასევე LSM-ის საწყისი მაჩვენებლისა, ანტივირუსული მკურნალობის

რეჟიმის (ინტერფერონის შემცველი ან ინტერფერონისგან თავისუფალი) და ხანგრძლივობისა.

დიაგრამა 5. კვლევაში ჩართული პაციენტების LSM კვლევის პერიოდის განმავლობაში



*შენიშვნა: ბლოკ-სქემის ზედა და ქვედა კიდეები ასახავს IQR-ს, კორიზონტალური ხაზი ბლოკ-სქემაში გვიჩვენებს მედიანას, ხოლო ვერტიკალური ხაზები მის კიდეებზე - მინიმალურ და მაქსიმალურ შედეგებს.*

მეორე მხრივ, LSM მნიშვნელოვნად შემცირდა მხოლოდ იმ პაციენტებში, რომლებშიც მიღებული იქნა SVR; ხოლო იმ პაციენტებში, რომლებშიც ვირუსოლოგიური პასუხი ვერ იქნა მიღწეული LSM-ის საწყისი და საბოლოო შედეგები სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა (ცხრილი 4).

ცხრილი 4.

LSM-ის მედიანა მკურნალობამდე და მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე


| მახასიათებლები                   | n   | საწყისი LSM (კპა)  | LSM<br>მკურნალობის<br>დასრულებიდან<br>24 კვირაზე (კპა) | P      |
|----------------------------------|-----|--------------------|--|--------|
| <b>სქესი</b>                     |     |                    |  |        |
| მამრობითი                        | 268 | 16.6 (11.8 – 27.7) | 11.9 (8.3 – 20.9)                                      | <0.001 |
| მდედრობითი                       | 36  | 17.5 (13.3 – 28.7) | 11.9 (6.8 – 22.0)                                      | <0.001 |
| <b>შაქრიანი დიაბეტი</b>          |     |                    |  |        |
| არა                              | 264 | 15.6 (11.8 – 26.7) | 11.4 (7.9 – 20.0)                                      | <0.001 |
| დიახ                             | 40  | 21.1 (14.3 – 35.3) | 15.5 (10.2 – 27.2)                                     | <0.001 |
| <b>ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება</b> |     |                    |  |        |
| არა                              | 281 | 16.1 (11.8 – 26.6) | 11.6 (7.9 – 20.9)                                      | <0.001 |
| დიახ                             | 23  | 24.5 (12.0 – 36.3) | 14.3 (9.1 – 32.2)                                      | <0.001 |
| <b>BMI</b>                       |     |                    |  |        |
| <28                              | 178 | 17 (11.8 – 27.7)   | 11.5 (8.1 – 20.9)                                      | <0.001 |
| ≥28                              | 126 | 16.2 (11.8 – 27.7) | 12.1 (8.3 – 21.1)                                      | <0.001 |
| <b>საწყისი ალტ</b>               |     |                    |  |        |
| <100 ერთ/ლ                       | 178 | 15.1 (11.3 – 27.7) | 11.9 (7.8 – 19.9)                                      | <0.001 |
| ≥100 ერთ/ლ                       | 126 | 17.3 (12.3 – 28)   | 11.9 (8.5 – 26.2)                                      | <0.001 |
| <b>საწყ. თრომბოციტის რაოდენ.</b> |     |                    |  |        |
| <150X10 <sup>9</sup> /ლ          | 125 | 23.6 (16.1 – 36.3) | 17.4 (11.9 – 28.3)                                     | <0.001 |
| ≥ 150X10 <sup>9</sup> /ლ         | 179 | 13.6 (10.9 – 19.3) | 9.1 (7.0 – 14.1)                                       | <0.001 |

| საწყისი ტუტე ფოსფატაზა     |     |                    |                    |        |
|----------------------------|-----|--------------------|--------------------|--------|
| <150 ერთ/ლ                 | 280 | 15.4 (11.8 – 26.2) | 11.1 (7.9 – 19.3)  | <0.001 |
| ≥150 ერთ/ლ                 | 24  | 36.9 (21.8 – 49.3) | 26.1 (14.2 – 39.0) | <0.001 |
| საწყისი LSM                |     |                    |                    |        |
| 9.6 – 12.5 კპა             | 98  | 10.8 (9.9 – 11.8)  | 7.7 (6.2 – 9.0)    | <0.001 |
| 12.6 – 14.5 კპა            | 34  | 14.0 (13.6 – 14.3) | 8.7 (6.7 – 11.5)   | <0.001 |
| >14.5 კპა                  | 172 | 25.9 (19.2 – 36.1) | 19.1 (12.7 – 30.4) | <0.001 |
| მკურნალობის რეჟიმი         |     |                    |                    |        |
| ინტერფერონის შემცველი      | 153 | 16 (12 – 25.7)     | 10.9 (8.6 – 19.2)  | <0.001 |
| ინტერფერონისგან თავისუფალი | 151 | 17.5 (11.6 – 32.8) | 12.1 (7.8 – 22.7)  | <0.001 |
| მკურნალობის ხანგრძლივობა   |     |                    |                    |        |
| 12 კვირა                   | 215 | 14.4 (11.4 – 24.3) | 10.4 (7.7 – 17.8)  | <0.001 |
| >12 კვირა                  | 89  | 22.5 (14.5 – 35)   | 14.8 (9.0 – 27.8)  | <0.001 |
| SVR                        |     |                    |                    |        |
| დიახ                       | 257 | 15 (11.6 – 24.3)   | 10.7 (7.7 – 16.5)  | <0.001 |
| არა                        | 47  | 30.6 (18 – 40.9)   | 27.4 (19.2 – 37.4) | 0.27   |

რაც შეეხება LSM-ის შემცირებას დროის ცალკეულ მონაკვეთებში, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება დაფიქსირდა მკურნალობის დაწყებამდე და დასრულებისას ჩატარებული კვლევების შედეგებს შორის; ასევე თერაპიის დასრულებისას და დასრულებიდან 12 კვირის შემდეგ ჩატარებული კვლევის შედეგებს შორის ( $p < 0.001$ ). არასარწმუნო განსხვავება გამოვლინდა HCV მკურნალობის დასრულებიდან 12 და 24 კვირაზე მიღებული LSM-ის მედიანას შორის ( $p = 0.7$ ).


LSM-ის სტატისტიკურად სარწმუნო შემცირება ასოცირებული იყო, როგორც აღვნიშნეთ, SVR-თან და, ასევე, საწყის მაღალ (> 14.5 კპა) სიხისტესთან (დიაგრამა 6 და 7).

დიაგრამა 6. კვლევაში ჩართული პაციენტების LSM კვლევის პერიოდის განმავლობაში SVR-ის სტატუსის მიხედვით



შენიშვნა: ბლოკ-სქემის ზედა და ქვედა კიდევები ასახავს IQR-ს, ჰორიზონტალური ხაზი ბლოკ-სქემაში გვიჩვენებს მედიანას, ხოლო ვერტიკალური ხაზები მის კიდევებზე - მინიმალურ და მაქსიმალურ შედეგებს.

დიაგრამა 7. კვლევაში ჩართული პაციენტების LSM კვლევის პერიოდის განმავლობაში სიხისტის საწყისი მაჩვენებლის მიხედვით



*შენიშვნა: ბლოკ-სქემის ზედა და ქვედა კიდები ასახავს IQR-ს, ჰორიზონტალური ხაზი ბლოკ-სქემაში გვიჩვენებს მედიანას, ხოლო ვერტიკალური ხაზები მის კიდებზე - მინიმალურ და მაქსიმალურ შედეგებს.*

იმ პაციენტებში, რომლებშიც მიღწეული იქნა SVR, LSM-ის მედიანა მკურნალობამდე იყო 15.0 (11.6 – 24.3) კპა, ხოლო მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე - 10.4 (7.7 – 16.5) კპა ( $p < 0.001$ ). პაციენტთა ამ ჯგუფში LSM-ის შემცირების მედიანა მკურნალობამდე და მკურნალობის დასრულებისას მიღებულ შედეგებს შორის იყო 2.1 (0.9 – 4.9) კპა, მკურნალობის დასრულებისას და დასრულებიდან 12 კვირაზე მიღებულ შედეგებს შორის - 1.9 (0.8 – 3.2) კპა, ხოლო მკურნალობის დასრულებიდან 12 და 24 კვირაზე მიღებულ შედეგებს შორის - 0.2 (-0.1 – 0.9) კპა. LSM სტატისტიკურად სარწმუნოდ მცირდებოდა დროის სამივე მონაკვეთში ( $p < 0.0001$ ) და შემცირების მედიანამ საწყის და საბოლოო მაჩვენებლებს შორის 4.7 (2.8 – 8.0) კპა შეადგინა.

რაც შეეხება პაციენტებს, რომლებშიც SVR ვერ იქნა მიღწეული, LSM სტატისტიკურად სარწმუნოდ შემცირდა ამ ჯგუფშიც მკურნალობის დასრულებისთვის; ამ პერიოდისთვის საწყის მაჩვენებელთან შედარებით LSM-ის სხვაობის მედიანამ 7.4 (2.0 – 11.9) კპა შეადგინა ( $p < 0.001$ ), თუმცა რელაფსის შემდეგ ღვიძლის სიხისტე კვლავ გაიზარდა, ცვლილების მედიანამ მკურნალობის დასრულებისას და დასრულებიდან 12 კვირაზე ჩატარებული კვლევის შედეგებს შორის -3.7 (-6.5 - (-1)) კპა, ხოლო მკურნალობის დასრულებიდან 12 და 24 კვირაზე ჩატარებული კვლევის შედეგებს შორის -1.8 (-4.9 - (-0.2)) კპა შეადგინა. საწყისი და საბოლოო კვლევის შედეგებს შორის LSM-ის შემცირების მედიანა 0.2 (-1.5 – 4.0) კპა დაფიქსირდა ( $p = 0.111$ ). მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირის შემდეგ LSM-ის მედიანა (27.4 კპა) მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა მკურნალობამდე (30.6 კპა) მიღებული მაჩვენებლისგან ( $p = 0.27$ ).


ღვიძლის სიხისტე სტატისტიკურად სარწმუნოდ მცირდებოდა საწყისი LSM-გან დამოუკიდებლად, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ LSM მკურნალობის დაწყებამდე აღმატებოდა 14.5 კპა-ს, ეს შემცირება იყო უფრო მკვეთრი. კერძოდ, ამ პაციენტებში საწყისი LSM-ის მედიანა იყო 25.9 (19.1 – 35.9) კპა, ხოლო მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე - 19.1 (12.7 – 30.2) კპა ( $p < 0.0001$ ) (დიაგრამა 7).

LSM-ის სარწმუნო შემცირება დაფიქსირდა ანტივირუსული თერაპიის სამივე რეჟიმით (1. პეგილირებული ინტერფერონი, სოფოსბუვირი და რიბავირინი, 2. სოფოსბუვირი და რიბავირინი 12, 20 ან 24 კვირა, 3. სოფოსბუვირი და ლედიპასვირი 12 ან 24 კვირა რიბავირინით ან რიბავირინის გარეშე) ნამკურნალებ პაციენტებში (დიაგრამა 8). აღსანიშნავია, რომ სიხისტის შემცირების მხრივ, ინტერფერონის შემცველ და ინტერფერონისგან თავისუფალ რეჟიმებს შორის სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირებულა. სარწმუნო განსხვავება გამოვლინდა მხოლოდ შემდეგ ორ რეჟიმს შორის: (1) სოფოსბუვირი და ლედიპასვირი რიბავირინით ან მის გარეშე (შემცირების მედიანა - 4.7 კპა, IQR: 2.9 – 8.0 კპა) და (2) სოფოსბუვირის და რიბავირინის კომბინაცია (შემცირების მედიანა - 3.4 კპა, IQR: 0.6 – 7.5 კპა). საინტერესოა ის ფაქტი, რომ არცერთ პაციენტში, რომელიც იღებდა სოფოსბუვირის და ლედიპასვირის კომბინაციას რიბავირინით ან მის გარეშე, საწყის მაჩვენებელთან შედარებით მკურნალობის



დასრულებიდან 24 კვირაზე ღვიძლის სიხისტის მატება არ დაფიქსირებულა. საწყის შედეგთან შედარებით LSM-ის საბოლოო მაჩვენებლის ზრდა დაფიქსირდა პეგილირებული ინტერფერონის, სოფოსბუვირის და რიბავირინის კომბინაციით ნამკურნალებ პაციენტთა 10.5%-ში (16/153), ხოლო სოფოსბუვირის და რიბავირინის კომბინაციით ნამკურნალებ პაციენტთა - 21.4%-ში (18/84). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში ზრდა იყო მინიმალური და ფიბროზის სტადიის შეცვლას (გაუარესებას) არ იწვევდა.

დიაგრამა 8. კვლევაში ჩართული პაციენტების LSM კვლევის პერიოდის განმავლობაში ანტივირუსული თერაპიის რეჟიმის მიხედვით




შენიშვნა: ბლოკ-სქემის ზედა და ქვედა კიდეები ასახავს IQR-ს, კოორდინატული ხაზი ბლოკ-სქემაში გვიჩვენებს მედიანას, ხოლო ვერტიკალური ხაზები მის კიდეებზე - მინიმალურ და მაქსიმალურ შედეგებს.

გარდა SVR-ს, ღვიძლის საწყისი სიხისტის და ანტივირუსული თერაპიის რეჟიმისა, შეფასებული იქნა ასევე სხვა ფაქტორების გავლენა LSM-ის შემცირებაზე. ეს ფაქტორებია: პაციენტის სქესი, BMI, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, შაქრიანი დიაბეტის არსებობა, მკურნალობის დაწყებამდე თრომბოციტების რაოდენობა, ალტ-ს, ტუტე ფოსფატაზას, საერთო ბილირუბინის, ალბუმინის, INR-ის შედეგები, HCV გენოტიპი. ამ ფაქტორებიდან მხოლოდ პაციენტის სქესი მოქმედებდა სტატისტიკურად სარწმუნოსთან მიახლოებულად LSM-ის შემცირებაზე. კერძოდ, LSM-ის შემცირების მედიანა ქალებში იყო 6.2 (3.7 – 8.0) კპა, ხოლო კაცებში - 4.0 (1.8 – 7.9) კპა ( $p = 0.06$ ). არცერთი სხვა ფაქტორი ღვიძლის სიხისტის შემცირებაზე სტატისტიკურად სარწმუნოდ არ მოქმედებდა.


ღვიძლის ფიბროზის სტადიების მიხედვით ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეტავირის კლასიფიკაციით ფიბროზის F4 სტადიის მქონე პაციენტთა წილი 56.6%-დან მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე 36.5%-მდე შემცირდა ( $p < 0.0001$ ), ფიბროზის F3-F4 სტადიის მქონე პაციენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (11.2% შედარებით 9.5%-თან,  $p=0.6$ ), ხოლო ფიბროზის F3 სტადიის მქონე პაციენტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა (32.2%-დან 16.8%-მდე,  $p < 0.0001$ ) (დიაგრამა 9). საბოლოოდ, 304 პაციენტიდან მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე ღვიძლის ფიბროზის სტადია < F3-ზე დაფიქსირდა 113 (37.2%) მათგანში.

დიაგრამა 9. ღვიძლის ფიბროზის სტადიების განაწილება კვლევის პერიოდში



უფრო დეტალური ანალიზით, 98 პაციენტიდან, რომელთა საწყისი LSM მერყეობდა 9.6 კპა-დან 12.5 კპა-მდე (ფიბროზის F3 სტადია მეტავირით), მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე 41-ს (41.8%) ჰქონდა LSM  $\leq$  7.0 კპა (ფიბროზის F0-F1 სტადია მეტავირით), 40-ს (40.8%) – LSM – 7.1 – 9.5 კპა (ფიბროზის F1-F2 ან F2 სტადია მეტავირით), 13 (13.3%) პაციენტში LSM დარჩა 9.6 – 12.5 კპა დიაპაზონში (ფიბროზის F3 სტადია მეტავირით), ხოლო 4 (4.1%) პაციენტში დაფიქსირდა გაუარესება და ღვიძლის სიხისტე აღემატებოდა 12.5 კპა-ს (ფიბროზის F3-F4 ან F4 სტადია მეტავირით) (დიაგრამა 10). აღსანიშნავია, რომ იმ 81 პაციენტიდან, რომელთა ღვიძლის სიხისტე მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე იყო 9.6 კპა-ზე ნაკლები, 80-ში (98.8%) მიღწეული იქნა SVR; ხოლო უცვლელი ან მომატებული LSM-ის მქონე 17 პაციენტიდან 5-ში (29.4%) დაფიქსირდა რელაფსი.

დიაგრამა 10. ღვიძლის ფიბროზის სტადიების ცვლილებები HCV ანტივირუსული მკურნალობის შემდეგ




34 პაციენტიდან, რომელთა საწყისი LSM მერყეობდა 12.6 – 14.5 კპა დიაპაზონში (ფიბროზის F3-F4 სტადია მეტავირით), მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე 10 (29.4%) მათგანში ღვიძლის სიხისტე იყო  $\leq 7.0$  კპა (ფიბროზის F0-F1 სტადია მეტავირით), 8 (23.6%) შემთხვევაში - 7.1 – 9.5 კპა (ფიბროზის F1-F2 ან F2 სტადია მეტავირით), 10 (29.4%) შემთხვევაში - 9.6 – 12.5 კპა (ფიბროზის F3 სტადია მეტავირით). 3 (8.8%) პაციენტში ღვიძლის სიხისტე გაიზარდა 14.5 კპა-ზე მეტად (ფიბროზის F4 სტადია მეტავირით), ხოლო 3 (8.8%) მათგანში LSM-ის დიაპაზონი არ შეცვლილა (ფიბროზის F3-F4 სტადია მეტავირით) (დიაგრამა 10). აღსანიშნავია, რომ ყველა პაციენტში (n=28), რომელთა LSM მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე შემცირდა, მიღწეული იქნა SVR, ხოლო უცვლელი ან მომატებული LSM-ის მქონე 6 პაციენტიდან 4-ში (66.7%) დაფიქსირდა რელაფსი. საბოლოოდ ღვიძლის სიხისტის გაუარესებული მაჩვენებლის მქონე შვიდივე პაციენტი (4 მათგანი ღვიძლის ფიბროზის საწყისი F3 სტადიით და 3 მათგანი ღვიძლის ფიბროზის საწყისი F3-F4 სტადიით) იყო მკურნალობაზე არმოპასუხე.

ანტივირუსული თერაპიის დაწყებამდე LSM > 14.5 კპა (ფიბროზის F4 სტადია მეტავირით) დაფიქსირდა 172 პაციენტში. მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე მათგან ორს (1.2%) ჰქონდა LSM ≤ 7.0 კპა (ფიბროზის F0-F1 სტადია მეტავირით), 12-ს (7.0%) – 7.1 – 9.5 კპა (ფიბროზის F1-F2 ან F2 სტადია მეტავირით), 28-ს (16.3%) – 9.6 – 12.5 კპა (ფიბროზის F3 სტადია მეტავირით), 23-ს (13.3%) – 12.6 – 14.5 კპა (ფიბროზის F3-F4 სტადია მეტავირით) (დიაგრამა 10). აღსანიშნავია, რომ SVR მიღწეული იქნა შემცირებული LSM-ის მქონე ყველა პაციენტში (n=65), ხოლო სტაბილური LSM-ის (ფიბროზის F4 სტადია მეტავირით) მქონე 107 პაციენტიდან 70 (65.4%) შემთხვევაში.

მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე LSM-ის მიხედვით ღვიძლის ფიბროზის სტადიების განაწილება შემდეგნაირად შეიცვალა: პაციენტთა 17.4%-ს ჰქონდა ფიბროზის F0-F1 სტადია მეტავირის კლასიფიკაციით, 11.2%-ს - F1-F2, 8.6%-ს - F2, 16.8%-ს - F3, 9.5%-ს - F3-F4, 36.5%-ს - F4 (ღვიძლის ციროზი) (დიაგრამა 9). მნიშვნელოვანია, რომ 172 პაციენტიდან, რომელთაც მკურნალობის დაწყებამდე ღვიძლის სიხისტის მაჩვენებელზე დაყრდნობით აღენიშნებოდათ ღვიძლის ციროზი, მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე 107 (62.2%) მათგანში ღვიძლის სიხისტე აღემატებოდა 14.5 კპა-ს, რაც კვლავ ციროზის არსებობაზე მიუთითებდა (დიაგრამა 10).

კვლევაში ჩართული 304 პირიდან ღვიძლის საწყისი სიხისტის სულ მცირე 20% -ით შემცირება მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირაზე დაფიქსირდა 198 (65.1%) პაციენტში. მულტივარიაციული ანალიზით, SVR იყო ერთადერთი ფაქტორი, რომელიც სტატისტიკურად სარწმუნოდ კორელირებდა ამ შემცირებასთან (OR: 14.38, 95% CI: 5.88-35.11,  $p < 0.0001$ ). საწყისი LSM-ის  $\geq 20\%$ -ით შემცირება დაფიქსირდა SVR-ის მქონე და SVR-ის გარეშე პაციენტების, შესაბამისად, 73.5%-ში და 19.2%-ში ( $p < 0.0001$ ) (დიაგრამა 11).

დიაგრამა 11. ღვიძლის სიხისტის  $\geq 20\%$ -ით შემცირება SVR-ის სტატუსის მიხედვით



მდედრობითი სქესის პაციენტები უფრო ხშირად აღწევდნენ საწყისი LSM-ის სულ მცირე 20%-ით შემცირებას, მაგრამ განსხვავება იყო სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობასთან მოსაზღვრე (OR: 2.66, 95% CI: 1.01-7.01,  $p=0.047$ ).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერფერონისგან თავისუფალი რეჟიმით ნამკურნალები პაციენტები უფრო ხშირად აღწევდნენ LSM-ის სულ მცირე 20%-ით შემცირებას, თუმცა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირებულა (SOF/RBV შედარებით PEG-INF/SOF/RBV-თან - OR: 1.90, 95% CI: 0.94 – 3.82,  $p=0.07$ ; SOF/LDV $\pm$ RBV შედარებით PEG-INF/SOF/RBV-თან - OR: 1.94, 95% CI: 0.96-3.94,  $p=0.06$ ) (ცხრილი 5).

ცხრილი 5. LSM-ის  $\geq 20\%$ -ით შემცირებასთან ასოცირებული ფაქტორები

| მახასიათებლები                  | უნივარიაციული ანალიზი |      | მულტივარიაციული ანალიზი |       |
|---------------------------------|-----------------------|------|-------------------------|-------|
|                                 | OR (95% CI)           | p    | OR (95% CI)             | p     |
| ასაკი                           | 0.98 (0.96–1.01)      | 0.21 | 0.98 (0.95–1.01)        | 0.23  |
| <b>სქესი</b>                    |                       |      |                         |       |
| მამრობითი                       | 1                     |      | 1                       |       |
| მდედრობითი                      | 2.02 (0.89–4.60)      | 0.09 | 2.66 (1.01–7.01)        | 0.047 |
| <b>ალკოჰოლის ჭარბი მოხმ.</b>    |                       |      |                         |       |
| არა                             | 1                     |      |                         |       |
| დიახ                            | 0.56 (0.24–1.31)      | 0.18 |                         |       |
| <b>BMI</b>                      |                       |      |                         |       |
| <28                             | 1                     |      |                         |       |
| $\geq 28$                       | 0.99 (0.62–1.61)      | 0.99 |                         |       |
| <b>შაქრიანი დიაბეტი</b>         |                       |      |                         |       |
| არა                             | 1                     |      |                         |       |
| დიახ                            | 0.69 (0.35–1.35)      | 0.28 |                         |       |
| <b>თრომბოციტები</b>             |                       |      |                         |       |
| $\geq 150 \times 10^9/\text{ლ}$ | 1                     |      |                         |       |
| <150X10 <sup>9</sup> /ლ         | 0.68 (0.42–1.10)      | 0.12 |                         |       |
| <b>ალტ</b>                      |                       |      |                         |       |
| <100 ერთ/ლ                      | 1                     |      |                         |       |
| $\geq 100$ ერთ/ლ                | 0.88 (0.55–1.43)      | 0.61 |                         |       |
| <b>ტუტე ფოსფატაზა</b>           |                       |      |                         |       |
| <150 ერთ/ლ                      | 1                     |      |                         |       |
| $\geq 150$ ერთ/ლ                | 1.08 (0.44–2.61)      | 0.87 |                         |       |

| ბილირუბინი          |                    |         |                    |         |
|---------------------|--------------------|---------|--------------------|---------|
| ≤18.8 მკმოლ/ლ       | 1                  |         |                    |         |
| >18.8 მკმოლ/ლ       | 0.93 (0.51-1.69)   | 0.81    |                    |         |
| ალბუმინი            |                    |         |                    |         |
| ≥35 გ/ლ             | 1                  |         |                    |         |
| <35 გ/ლ             | 0.83 (0.31-2.21)   | 0.71    |                    |         |
| INR                 |                    |         |                    |         |
| ≤1.5                | 1                  |         |                    |         |
| >1.5                | 0.60 (0.21-1.69)   | 0.33    |                    |         |
| HCV გენოტიპი        |                    |         |                    |         |
| 1                   | 1                  |         |                    |         |
| 2                   | 0.99 (0.51-1.95)   | 0.99    |                    |         |
| 3                   | 1.14 (0.67-1.92)   | 0.63    |                    |         |
| საწყისი LSM         |                    |         |                    |         |
| ≤14.5 კპა           | 1                  |         | 1                  |         |
| >14.5 კპა           | 0.74 (0.46-1.20)   | 0.22    | 1.06 (0.61-1.81)   | 0.85    |
| ანტივირუსული რეჟიმი |                    |         |                    |         |
| PEG-INF/SOF/RBV     | 1                  |         | 1                  |         |
| SOF/RBV             | 0.90 (0.52-1.55)   | 0.70    | 1.90 (0.94-3.82)   | 0.07    |
| SOF/LDV±RBV         | 2.31 (1.18-4.53)   | 0.01    | 1.94 (0.96-3.94)   | 0.06    |
| SVR                 |                    |         |                    |         |
| არა                 | 1                  |         |                    |         |
| დიახ                | 11.74 (5.39-25.54) | <0.0001 | 14.38 (5.88-35.11) | <0.0001 |



**ლაბორატორიული პარამეტრების დინამიკა**

კვლევაში ჩართულ ყველა პაციენტში მკურნალობის დასრულებიდან 12 კვირაზე განმეორებით ფასდებოდა და მკურნალობამდე მიღებულ შედეგებს დარდებოდა შემდეგი პარამეტრები: ალტ, ასტ, თრომბოციტი, FIB4 ინდექსი. ღვიძლის ციროზით პაციენტებში მკურნალობის დასრულებიდან 12 კვირაზე დამატებით ფასდებოდა ასევე შრატის ალბუმინი და საერთო ბილირუბინი. ყველა ლაბორატორიული პარამეტრის განმეორებითი კვლევის შედეგი სტატისტიკურად სარწმუნოდ განხვავდებოდა მკურნალობის დაწყებამდე მიღებული შედეგისგან (ცხრილი 6).

**ცხრილი 6. ლაბორატორიული პარამეტრების დინამიკა**

| ლაბორატორიული კვლევის შედეგი     | n   | მკურნალობამდე       | მკურნალობის დამთავრებიდან 12 კვირაზე | ცვლილების მედიანა  | P      |
|----------------------------------|-----|---------------------|--------------------------------------|--------------------|--------|
| ალტ (ერთ/ლ)                      | 304 | 86.1 (58.3 – 147)   | 19.7 (15 – 33.5)                     | 56 (30.3 – 107.2)  | <0.001 |
| ასტ(ერთ/ლ)                       | 304 | 64 (43.1 – 98.2)    | 19.3 (14.6 – 27.8)                   | 39.8 (18.1 – 70.9) | <0.001 |
| თრომბოციტი (X10 <sup>9</sup> /ლ) | 304 | 160.5 (125 – 196.8) | 174 (132-213)                        | -7 (-29 – 8.8)     | <0.001 |
| FIB4 ინდექსი                     | 304 | 2.1 (1.5 – 3.2)     | 1.2 (0.9 – 1.9)                      | 0.7 (0.2 – 1.4)    | <0.001 |
| ალბუმინი (გ/ლ)                   | 172 | 43.9 (40.4 -46.4)   | 44.1 (39.1 – 47.6)                   | -5 (-3.6 – 1)      | 0.002  |
| ბილირუბინი (მკმოლ/ლ)             | 172 | 11.8 (8.3 – 16.5)   | 11.4 (8.2 – 16.4)                    | 0.9 (-0.1 – 4.7)   | 0.045  |

სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია გამოვლინდა ანტივირუსული თერაპიის დასრულებიდან 12 კვირაზე შეფასებულ ალტ-ს და LSM-ს შორის (*Pearson’s r 0.29, p<0.0001*).

SVR-ის სტატუსის მიხედვით აღნიშნული კორელაციის ანალიზისას სარწმუნო კავშირი შენარჩუნდა მხოლოდ SVR-ის მქონე პაციენტებში (*Pearson’s r 0.33, p<0.0001*), ხოლო იმ პირებში, რომლებშიც SVR ვერ იქნა მიღწეული ალტ-ს და ღვიძლის სიხისტეს შორის კორელაცია არ გამოვლინდა (*Pearson’s r -0.10, p=0.49*). აღნიშნული შესაბამისობაშია მულტივარიაციული ანალიზის შედეგთან, რომელიც ხაზს უსვამს ვირუსოლოგიური პასუხის მიღწევის მნიშვნელობას LSM-ის შემცირებაში.

## 6. განხილვა

ჩატარებული პროსპექტული კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქრონიკული HCV ინფექციით პაციენტებში DAA-თ მკურნალობის გავლენის შესწავლა ღვიძლის ელასტოგრაფიით (TE) შეფასებულ ღვიძლის შორსწასული ფიბროზის/ციროზის მაჩვენებლებზე. მსგავსი ტიპის კვლევა, რომელიც შეისწავლიდა HCV ანტივირუსული თერაპიის შემდეგ ღვიძლის ფიბროზის/ციროზის მაჩვენებლების ცვლილებებს, ჩვენს ქვეყანაში არ ჩატარებულა.

კვლევის შედეგები გვაძლევს რამდენიმე მნიშვნელოვანი აღმოჩენის გაკეთების საშუალებას. უპირველეს ყოვლისა, დადგინდა, რომ HCV ვირუსოლოგიური პასუხის მიღწევა არის ღვიძლის შორსწასული ფიბროზის/ციროზის რეგრესის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი. ჩვენს მიერ მიღებული შედეგების მსგავს მონაცემებს იძლევა საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩატარებული რამდენიმე კვლევა [96, 97], თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევების ფარგლებში ღვიძლის ფიბროზის/ციროზის რეგრესს სწავლობდნენ ინტერფერონის შემცველი რეჟიმებით მკურნალობის ფონზე. დღეისთვის უკვე კარგად ცნობილია, რომ ინტერფერონის შემცველი რეჟიმებით ჩატარებული ანტივირუსული თერაპია ღვიძლის დაზიანების სიმძიმეზე დადებით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ HCV-ის ელიმინაციის გზით, არამედ მისი ანთების საწინააღმდეგო და ანტიფიბროზული თვისებებით. კერძოდ, ინტერფერონი აღფას პრეპარატები თრგუნავს ე.წ. ფიბროგენეზის ციტოკინების გამოთავისუფლებას, როგორცაა მატრანსფორმირებელი ზრდის ფაქტორი 1-ბეტა, ჰიალურონის მჟავა, პროკოლაგენ III [40, 98]. რაც შეეხება DAA-ს შემცველი რეჟიმებით მკურნალობის გავლენას ღვიძლის შორსწასულ ფიბროზზე და ციროზზე, აღნიშნულის შესახებ მონაცემები მწირია.

ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ღვიძლის სიხისტის სულ მცირე 20%-ით შემცირების თვალსაზრისით ინტერფერონის შემცველი და ინტერფერონისგან თავისუფალი რეჟიმებით ნამკურნალებ პაციენტების ჯგუფებს შორის მულტივარიაციული ანალიზით არ გამოვლენილა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მულტივარიაციული ანალიზით ნანახი სტატისტიკურად სარწმუნო

განსხვავებასთან მოსაზღვრე სხვაობა გარკვეულწილად მიუთითებს ინტერფერონისგან თავისუფალი რეჟიმების, და განსაკუთრებით სოფოსბუვირის და ლედიპასვირის ფიქსირებული კომბინაციის (ჰარვონი), შესაძლო შედარებით მეტ ეფექტზე ღვიძლის ფიბროზის რეგრესის თვალსაზრისით, ინტერფერონის შემცველ რეჟიმებთან შედარებით. ჩვენი შედეგები მსგავსია Chekuri-ს მიერ მიღებული შედეგებისა, რომელიც LSM-ის შემცირების თვალსაზრისით ასევე აჩვენებს ინტერფერონისგან თავისუფალი რეჟიმების უპირატესობას ინტერფერონის შემცველ რეჟიმებთან შედარებით, თუმცა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებას არ აფიქსირებს [99]. DAA რეჟიმებით მკურნალობის შემდეგ ღვიძლის სიხისტის მაჩვენებლების სარწმუნო შემცირება ვლინდება Bachofner-ის კვლევაშიც [100].

ღვიძლის ფიბროზის რეგრესის თვალსაზრისით, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირებულა სხვადასხვა ხანგრძლივობის ანტივირუსული რეჟიმებით ნამკურნალები პაციენტების ჯგუფებს შორის.

LSM-ის გაუმჯობესების თვალსაზრისით, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებასთან მოსაზღვრე მნიშვნელობის სხვაობა იქნა ნანახი სქესის მიხედვით. აღნიშნული სხვაობის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო SVR-ის მაღალი სიხშირე ქალებში მამაკაცებთან შედარებით, თუმცა ვირუსოლოგიური განკურნების მიღწევის თვალსაზრისით სქესის მიხედვით სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ჩვენს კვლევაში არ დაფიქსირებულა.

ჩვენი კვლევის შედეგების თანახმად, BMI, შაქრიანი დიაბეტის არსებობა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება ღვიძლის ფიბროზის რეგრესზე არ მოქმედებდა. მსოფლიოში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ პათოლოგიები, როგორცაა სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი და ალკოჰოლდამოკიდებულება, ღვიძლის დაზიანების პროგრესირების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორებია HCV-ით ინფიცირებულ პაციენტებში ვირუსოლოგიური განკურნების შემდეგ [101]. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორების არსებობა შესაძლებელია აისახოს ღვიძლის ფიბროზის/ციროზის მაჩვენებლების დინამიკაზე. გარდა ამისა, ცნობილია, რომ სიმსუქნემ შესაძლებელია გავლენა იქონიოს ღვიძლის სიხისტის შეფასებაზე [102], ხოლო

შაქრიანმა დიაბეტმა - SVR-ის მიღწევაზე [103]. მიუხედავად ამისა, ჩვენს კვლევაში ჭარბი წონა, შაქრიანი დიაბეტის არსებობა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება HCV კლირენსზე არ მოქმედებდა.

კვლევის შედეგების მიხედვით, HCV ანტივირუსული მკურნალობის შემდგომ პერიოდში ღვიძლის სიხისტე სტატისტიკურად სარწმუნოდ მცირდებოდა შემდეგი ლაბორატორიული პარამეტრების საწყისი მნიშვნელობების მიუხედავად (ალტ, ტუტე ფოსფატაზა, საერთო ბილირუბინი, ალბუმინი, INR, თრომბოციტი).

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ლაბორატორიული პარამეტრებიდან ღვიძლის სიხისტის შემცირებაზე სტატისტიკურად სარწმუნო გავლენას ვერ ახდენდა ალტ და ტუტე ფოსფატაზა. საერთაშორისო ლიტერატურის და კლინიკური გამოცდილების თანახმად, ღვიძლის სიხისტის მატება, ფიბროზის გარდა, შესაძლოა გამოიწვიოს ღვიძლში ანთებითმა პროცესმა და ქოლესტაზმა. ჩვენს მიერ ალტ და ტუტე ფოსფატაზა შერჩეული იქნა როგორც, შესაბამისად, ჰეპატიტის და ქოლესტაზის ბიოქიმიური მარკერები; ხოლო ჩვენს მიერ მოწოდებული ზღვრული მაჩვენებლები (ალტ  $\geq 100$  ერთ/ლ და ტუტე ფოსფატაზა  $\geq 150$  ერთ/ლ) შერჩეული იქნა საერთაშორისო კვლევების გამოცდილების თანახმად, როგორც კლინიკური მნიშვნელობის გადაცდომები ნორმიდან [67, 104, 105].

რაც შეეხება თავად საწყისი LSM-ის მნიშვნელობას მისივე შემცირებაში, აღმოჩნდა, რომ სიხისტე მცირდებოდა LSM-ის ყველა მნიშვნელობის შემთხვევაში, მაგრამ ეს შემცირება უფრო მკვეთრი იყო იმ პაციენტებში, რომელთა ღვიძლის სიხისტე ანტივირუსული მკურნალობის დაწყებამდე აღემატებოდა 14.5 კპა-ს. აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არ აღმოჩნდა, როდესაც LSM-ის შემცირება შეფასდა 20%-იანი გაუმჯობესების თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი დასკვნა მსგავსია Hezode-ს მიერ მიღებული შედეგებისა [97], თუმცა განსხვავებულია ზოგიერთი სხვა კვლევით წარმოდგენილი ინფორმაციისგან [99].

საბოლოოდ, ჩვენს მიერ შესწავლილი მასალის ანალიზით დგინდება, რომ მიუხედავად საწყისი LSM-ის შემცირებისა, ანტივირუსული მკურნალობის დაწყებამდე ღვიძლის

სიხისტეზე დაყრდნობით ღვიძლის ციროზის მქონე პაციენტთა ნახევარზე მეტში ძალაში რჩება ღვიძლის ციროზის დიაგნოზი მკურნალობის დამთავრებიდან 24 კვირის შემდეგ. აღნიშნული ინფორმაცია შეესაბამება წარსულში ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომელთა თანახმადაც ციროზი ხშირად პერსისტირებს პაციენტებში, რომლებშიც მიღწეული იქნა SVR [72, 106]. ეს მტკიცებულება, თავის მხრივ, შესაბამისობაშია თეორიასთან, რომლის თანახმადაც კოლაგენი ტიპი სამით წარმოდგენილი ღვიძლის ფიბროზი შედარებით დინამიური პროცესია და მისთვის რეგრესი მეტად დამახასიათებელია; რაც შეეხება კოლაგენი ტიპი ერთს, ის უფრო მყარი სუბსტანციაა და მისით წარმოდგენილი დაზიანება შემთხვევათა უმრავლესობაში არაშექცევადია [107].

ზემოთაღნიშნული ინფორმაცია ხსნის ფაქტს, რომ ღვიძლის ფიბროზი და ციროზი შექცევადია, მაგრამ არა ყოველთვის. აღნიშნულის შეფასება კი შესაძლებელია მხოლოდ ანტივირუსული მკურნალობის დამთავრების და HCV-ის კლირენსის შემდეგ [107].

ჩვენ, რა თქმაუნდა, ვაცნობირებთ, რომ ღვიძლის სიხისტის შემცირება, განსაკუთრებით ანტივირუსული თერაპიის პერიოდში, შესაძლოა პირდაპირ არ ასახავდეს ღვიძლის ფიბროზის რეგრესს და ის მეტწილად ღვიძლის ქსოვილში ანთებითი ხასიათის ცვლილებების შემცირების/ალაგების შედეგი იყოს [108]. სწორედ ამ ტიპის კავშირით შესაძლოა აიხსნას მკურნალობის დროს ღვიძლის სიხისტის შემცირება იმ პაციენტებში, რომლებთანაც ვერ იქნა მიღწეული SVR. პაციენტთა ამ ჯგუფში სიხისტე შემცირდა ანტივირუსული თერაპიის პერიოდში, მაგრამ რელაფსის შემდეგ კვლავ გაიზარდა და საბოლოო მაჩვენებელი სტატისტიკურად სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა საწყისი შედეგისგან. თუმცა, რამდენადაც მკურნალობის დამთავრების შემდეგ ღვიძლის სიხისტის გაუმჯობესება გრძელდება მხოლოდ იმ პაციენტებში, რომლებშიც მიღწეული იქნა SVR, ეს ფაქტი გარკვეულწილად წარმოადგენს არაპირდაპირ არგუმენტს სიხისტის შემცირებასა და ღვიძლის ფიბროზის რეგრესს შორის კორელაციის სასარგებლოდ. აღნიშნულის დამტკიცებას კი შემდგომი ხანგრძლივი დაკვირვების კვლევების ჩატარება ესაჭიროება.

მხოლოდ ანთებითი პროცესის აქტივობის შემცირების გამო ღვიძლის სიხისტის გაუმჯობესების თეორიას ეწინააღმდეგება ის ფაქტიც, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში

LSM ერთნაირად მცირდებოდა მკურნალობის დაწყებამდე დაბალი (<100 ერთ/ლ) და მაღალი ( $\geq 100$  ერთ/ლ) ალტ-ს მქონე პაციენტებში. ასევე, როდესაც ჩვენ შევისწავლეთ კორელაცია ანტივირუსული თერაპიის დასრულებიდან 12 კვირაზე განსაზღვრულ ალტ-ს და LSM-ს შორის, სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი გამოვლინდა მხოლოდ იმ პაციენტებში, რომლებშიც მიღწეული იქნა SVR. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ვირუსოლოგიური განკურნების მნიშვნელობას ღვიძლის სიხისტის შემცირებაში.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევას აქვს რამდენიმე შეზღუდვა. მათ შორის პირველს წარმოადგენს ის, რომ ღვიძლის შორსწასული ფიბროზის/ციროზის მაჩვენებლები ფასდებოდა ანტივირუსული მკურნალობის დამთავრებიდან ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში. საფიქრებელია, რომ ღვიძლის დაზიანების შემცირებას და მდგომარეობის სტაბილურ გაუმჯობესებას მეტი სიზუსტით ასახავს შედარებით ხანგრძლივი დაკვირვება.

ვინაიდან ღვიძლის ფიბროზის შესაფასებელ ოქროს სტანდარტად დღემდე ბიოფსია რჩება [58], კვლევის მეორე შეზღუდვა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ მასში ჩართულ პაციენტებს ღვიძლის სიხისტის შეფასების პარალელურად არ უტარდებოდათ ღვიძლის ბიოფსია. D'Ambrosio-ს შედეგების თანახმად, ინტერფერონის შემცველი რეჟიმით მიღწეული ვირუსოლოგიური განკურნების შემდეგ ღვიძლის ქსოვილის მორფომეტრიული თავისებურებები შესაძლოა მოქმედებდეს ღვიძლის ელასტოგრაფიის (TE) სიზუსტეზე, რითიც შესაძლებელია აიხსნას ის ფაქტი, რომ აღნიშნული კვლევის ფარგლებში ღვიძლის სიხისტის გაუმჯობესებული მაჩვენებლების მქონე პაციენტთა ნაწილში ღვიძლის ბიოფსიით დადებითი დინამიკა არ დაფიქსირდა [109]. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ღვიძლის სიხისტის მიხედვით ფიბროზის დადებითი დინამიკის მქონე პაციენტთა წილი გადაჭარბებულია. თუმცა, ზოგადად მსოფლიოში ჩატარებული არაერთი კვლევის შედეგი ამტკიცებს ფიბროსკანის აპარატით ღვიძლის ელასტოგრაფიის (TE) მაღალ სიზუსტეს ღვიძლის ფიბროზის შეფასებაში [110, 111]. Talwalkar-ის მეტა-ანალიზის მიხედვით, ღვიძლის ციროზის სადიაგნოსტიკოდ ღვიძლის ბიოფსიის და ელასტოგრაფიის შედარებისას, ეს უკანასკნელი ავლენს 91% სპეციფიურობას და 87% სენსიტიურობას [112]. მიუხედავად

ამისა, გასათვალისწინებელია D'Ambrosio-ს კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც ღვიძლის ელასტოგრაფიის (TE) სენსიტიურობა და სპეციფიურობა HCV ვირუსოლოგიური განკურნების შემდეგ შესაძლოა განსხვავდებოდეს HCV ვირემიით პაციენტებში ამ მეთოდის სენსიტიურობის და სპეციფიურობისგან [109]. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ღვიძლის სიხისტის ის ზღვრული მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება ციროზის სადიაგნოსტიკოდ HCV რნმ პოზიტიურ პაციენტებში, შესაძლოა არარელევანტური იყოს ღვიძლის ციროზის დიაგნოზის დასადასტურებლად HCV რნმ ნეგატიურ პირებში [109]. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ძალზედ მნიშვნელოვანია ვირუსოლოგიური განკურნების შემდეგ მონიტორინგის სწორი სქემის შესარჩევად და HCC-ს მართებული სკრინინგის საწარმოებლად.

მიუხედავად ყოველივე ზემოთაღნიშნულისა, ზოგადად HCV ანტივირუსულ მკურნალობასთან ასოცირებული ღვიძლის სიხისტის სწრაფი შემცირება შესაბამისობაშია HCV მონონფიცირებული ღვიძლის ციროზით პაციენტების მეტა-ანალიზის შედეგებთან; აღნიშნული მეტა-ანალიზის ფარგლებში ციროზის დინამიკა კონტროლდებოდა ღვიძლის ბიოფსიით, კვლევის შედეგები კი გვიჩვენებს ღვიძლის ციროზის რეგრესსა და ვირუსოლოგიურ განკურნებას შორის სარწმუნო კავშირს [113].

## 7. დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის შედეგები იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

**დასკვნა 1:** ღვიძლის სიხისტის განსაზღვრა ელასტოგრაფიის საშუალებით ღვიძლის ფიბროზის/ციროზის ხარისხის/სტადიის შესაფასებელი ეფექტური არაინვაზიური მეთოდია.

**დასკვნა 2:** ღვიძლის ელასტოგრაფიით (TE) განსაზღვრული ღვიძლის ფიბროზის ხარისხი DAA რეჟიმებით მკურნალობის შემდეგ მნიშვნელოვნად მცირდება როგორც ღვიძლის შორსწასული ფიბროზის (F3 სტადია მეტავირის კლასიფიკაციით), ისე ღვიძლის ციროზის (F4 სტადია მეტავირის კლასიფიკაციით) მქონე ქრონიკული HCV ინფექციით პაციენტებში.

**დასკვნა 3:** ქრონიკული HCV ინფექციით პაციენტებში ღვიძლის ელასტოგრაფიით (TE) განსაზღვრული ღვიძლის ფიბროზის ხარისხი სტატისტიკურად სარწმუნოდ მცირდება როგორც პეგილირებული ინტერფერონის შემცველი, ასევე უნტერფერონო, DAA რეჟიმებით მკურნალობის შემდეგ.

**დასკვნა 4:** ქრონიკული HCV ინფექციით პაციენტებში DAA რეჟიმებით მკურნალობის შემდეგ ღვიძლის ელასტოგრაფიით (TE) შეფასებული ღვიძლის ფიბროზის/ციროზის შემცირების/რეგრესის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი HCV ვირუსოლოგიური განკურნებაა. ასე მაგალითად, ანტივირუსული თერაპიის პერიოდში ღვიძლის სიხისტე მცირდება ღვიძლის შორსწასული ფიბროზით პაციენტების უმეტეს ნაწილში, მაგრამ მკურნალობის დასრულების შემდეგ ამ შედეგის შენარჩუნება ან შემდგომი გაუმჯობესება ხდება მხოლოდ იმ პაციენტებში, რომლებშიც მიღწეული იქნა SVR.

**დასკვნა 5.** DAA რეჟიმებით მკურნალობის შემდეგ ღვიძლის ელასტოგრაფიით (TE) შეფასებული დაზიანების ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირდა და ღვიძლის ციროზის დიაგნოზი მოიხსნა პაციენტების ნაწილში (37.8%), თუმცა ამავე პაციენტების მნიშვნელოვან ნაწილში (62.2%) ღვიძლის მძიმე დაზიანება დარჩა DAA რეჟიმებით მკურნალობის და მიღწეული ვირუსოლოგიური განკურნების შემდეგაც.



მიღებულ მონაცემებს DAA თერაპიის შედეგად ღვიძლის სიხისტის რეგრესის შესახებ დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს და იძლევა რიგი კლინიკური რეკომენდაციების გაკეთების საშუალებას.

**რეკომენდაცია 1:** ღვიძლის ელასტოგრაფია (TE), როგორც ღვიძლის ფიბროზის/ციროზის სადიაგნოსტიკო საუკეთესო არაინვაზიური მეთოდი, ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული ქრონიკული HCV ინფექციით პაციენტებში.

**რეკომენდაცია 2:** ქრონიკული HCV ინფექციით და ღვიძლის შორსწასული ფიბროზით/ციროზით პაციენტებში ღვიძლის ფიბროზის მონიტორინგის მიზნით ღვიძლის ელასტოგრაფიის (TE) ჩატარება მიზანშეწონილია როგორც DAA რეჟიმებით მკურნალობამდე, ასევე მკურნალობის შემდეგ.

**რეკომენდაცია 3:** ქრონიკული HCV ინფექციით და ღვიძლის შორსწასული ფიბროზით/ციროზით პაციენტებში DAA რეჟიმებით მკურნალობის შემდეგ ღვიძლის სიხისტის კონტროლის ოპტიმალური პერიოდია მკურნალობის დასრულებიდან 24 კვირა.

**რეკომენდაცია 4:** DAA თერაპიის შედეგად ღვიძლის ფიბროზის რეგრესს დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს ქრონიკული C ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით პაციენტების ანტივირუსული მკურნალობის შემდგომ პერიოდში სწორი მენეჯმენტისთვის.

**რეკომენდაცია 5:** ღვიძლის შორსწასული დაზიანების და მასთან ასოცირებული გართულებების თავიდან ასაცილებლად ძალზედ მნიშვნელოვანია HCV ინფიცირებული პაციენტების ადრეული გამოვლენა და მკურნალობა, რაც C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

8. ინგლისურენოვანი რეზიუმე

**Ivane Javakhsihvili Tbilisi State Medical University, Faculty of Medicine**

**The effect of direct acting anti-viral (DAA) therapy  
on liver fibrosis and cirrhosis in patients with  
chronic HCV infection**

**PhD Thesis**

**Ekaterine Dolmazashvili**

**Tbilisi, 2017**

## **Introduction**

Hepatitis C virus (HCV) infection is one of the main causes of chronic liver disease, with estimated 80 million people living with chronic hepatitis C globally. The consequences of chronic HCV infection, end-stage liver disease and hepatocellular carcinoma (HCC) have been shown to increasingly impact on national health systems in the past decades.

Georgia reports one of the world's highest estimated HCV prevalence rates among its general population. Recent population based survey showed that 7.7% were anti-HCV positive and 5.4% were viremic. Genotype 1 is the most frequent in our country, followed by genotype 3. Important characteristic of HCV epidemic in Georgia is the high prevalence of recombinant strain 2k/1b.

